



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030158550389721

№ 01-183/თ

02 / ივნისი / 2021 წ.

„ქვეყანაში ეპიდემიოლოგიური მზადყოფნისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სტაციონარული სამედიცინო დაწესებულებების სანებართვო რეჟიმის უზრუნველყოფის განსაკუთრებული პირობების განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 25 დეკემბრის №01-647/თ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:

მუხლი 1. „ქვეყანაში ეპიდემიოლოგიური მზადყოფნისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სტაციონარული სამედიცინო დაწესებულებების სანებართვო რეჟიმის უზრუნველყოფის განსაკუთრებული პირობების განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 25 დეკემბრის № 01-647/თ ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებას, პირველი პუნქტის შემდეგ, დაემატოს შემდეგი შინაარსის 1⁴ პუნქტი:

„1⁴. საქართველოში ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შესაძლო შემთხვევების გავრცელების (ეპიდემია, პანდემია, ეპიდემიური აფეთქება) პრევენციისა და საეჭვო და/ან დადასტურებულ შემთხვევებზე რეაგირების მზადყოფნისათვის, სამედიცინო დაწესებულებების მობილიზების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 19 სექტემბრის № 01-467/თ ბრძანებით 2021 წლის 1 ივნისის მდგომარეობით მობილიზებულ იმ სამედიცინო სტაციონარულ დაწესებულებებს, რომლებსაც ამავე ბრძანების 1¹ პუნქტის შესაბამისად, „სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 17 დეკემბრის № 385 დადგენილების N2 დანართით განსაზღვრული - „გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისა (EMERGENCY)“ და „კარდიოქირურგიული მომსახურების“ ნებართვის დანართების მოპოვების ვადად განსაზღვრული ჰქონდათ 2021 წლის 1 ივლისი, აღნიშნული ვალდებულებების შესრულება გადაუვადდეს 2021 წლის 30 სექტემბრამდე.“

მუხლი 2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამგდასმულია
ელექტრონულად

ეკატერინე ტიკარაძე